საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor's Office

№ 01-01-21/1208
24 05 2012 წ.

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-ს

ბატონო ბორის,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 24.05.2012 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისში ქუჩების (ჯამში 2,5 კმ–მდე) ასფალტო–ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით 2012 წლის 21 მაისს (საკონკურსო განაცხადი №478) გამოცხადებულ კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით.

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-ს დისკვალიფიკაცია.

პატივისცემით,

დავით ანდღულაძე

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
საკონკურსო კომისიის თავმჯომარე